საქართველოს პარლამენტის ბიუროს

გამომდინარე იქიდან, რომ არის საარჩევნო წელიწადი, სასურველია მისი დაჩქარებული წესით განხილვა

საკანონმდებლო წინადადება
(წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის
105-ე მუხლის გათვალისწინებით)

ცვლილების სახეობა:

- საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

განსახილველი საკითხი:

- არჩევნებში მონაწილეობის უფლების მიღების მიზნით თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: საქართველოს საარჩევნო კოდექსით, არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოპოვების ერთ-ერთ გზად განსაზღვრულია ამომრჩეველთა ხელმოწერების შეგროვება. საგულისხმოა, რომ წელს არჩევნები ტარდება ელექტრონულად. ამ პირობებში სასურველი იქნებოდა, რომ ტექნილოგიების გამოყენებითაც შესაძლებელი გამხდარიყო საარჩევნო უფლების მიღებასთან დაკავშირებული ხელმოწერების შეგროვების პროცესი - კვალიფიციური სანდო ხელმოწერის გამოყენებით ან კანონმდებლობით ნების გამოვლენის სხვა საშუალებებით, რაც თავის მხრივ დაზოგავს საარჩევნო სუბიექტის კანდიდატის დროით და ფინანსურ რესურს, ასევე, შეგროვებულ ხელმოწერების გადამოწმების პროცესს. მაგალითად - my.gov.ge ზე ან/და https://manifest.ge/ ზე დაინტერესებული შეავსებს და ელექტრონული აიდი ბარათის გამოყენებით დაადასტურებს - სისტემაში ჩაშენებულ მხარდამჭერთა სიას, რომლის ნიმუში შემუშავბული იქნება ცეესკოს მიერ.

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი
ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted] მობ.: [redacted] ელ. ფოსტა: [redacted] რეგისტრაციის ადგილი: ქ. [redacted]

25/02/2024

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-2211/24
26 02 2024 ფურცელი 1